رئاسة الشؤون الدينية
بالمسجد الحرام والمسجد النبوي

فَضَائِلُ وَآدَابُ المَسْجِدِ النَّبَوِيِّ وَأَحْكَامُ زِيَارَةِ قَبْرِ النَّبِيِّ ﷺ وَقَبْرَي صَاحِبَيْهِ رَضِيَ اللَّهُ عَنْهُمَا

جورجي

ქართული

შუამავლის მეჩეთის ღირსებები და წესები და შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და მისი ორი მეგობრის (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) საფლავების მონახულების დადგენილებები

სამეცნიერო კომიტეტი რელიგიური საქმეთა ხელმძღვანელობით ალ-მასჯიდ ალ-ჰარამში და ალ-მასჯიდ ან-ნაბავში

فَضَائِلُ وَآدَابُ المَسْجِدِ النَّبَوِيِّ
وَأَحْكَامُ زِيَارَةِ قَبْرِ النَّبِيِّ ﷺ
وَقَبْرَي صَاحِبَيْهِ رَضِيَ اللهُ عَنْهُمَا

შუამავლის მეჩეთის ღირსებები და წესები და შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და მისი ორი მეგობრის (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) საფლავების მონახულების დადგენილებები

اللَّجْنَةُ العِلْمِيَّةُ

بِرِئَاسَةِ الشُّؤُونِ الدِّينِيَّةِ بِالمَسْجِدِ الحَرَامِ وَالمَسْجِدِ النَّبَوِيِّ

სამეცნიერო კომიტეტი რელიგიური საქმეთა ხელმძღვანელობით ალ-მასჯიდ ალ-ჰარამში და ალ-მასჯიდ ან-ნაბავში

بِسْمِ اللهِ الرَّحْمَنِ الرَّحِيمِ

შუამავლის მეჩეთის ღირსებები და წესები და შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და მისი ორი მეგობრის (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) საფლავების მონახულების დადგენილებები.

შესავალი

ქება დიდება ალლაჰს, სამყაროების ღმერთს, ლოცვა და მშვიდობა სამყაროს წყალობად გამოგ ზავნილ მუჰამმადს, მის ოჯახს, მის ყველა მეგობ არს, ვინც აიღო მისი სუნნა და ვინც გაჰყვა მის გ ზას განკითხვის დღემდე, ამის შემდეგ:

ეს არის მოკლე გზავნილი, რომელიც მოიცავს შუამავლის მეჩეთის უმთავრეს უპირატესობებს, მისი მონახულების წესებს, შუამავლისა (ალლაჰ ის ლოცვა და მშვიდობა მას) და მისი ორი თანამ ეგობრის საფლავების მონახულების წესებს. ის შ ეიკრიბა შუამავლის მეჩეთის მომნახველებისთვ ის, რათა ინფორმირებულნი იყვნენ და გააზრებ

ულად აღიქვამდნენ უმმის შუამავლის (ალლაჰი
ს ლოცვა და მშვიდობა მას) მეჩეთის უპირატესო
ბას, მისი მონახულებისა და მასში ლოცვის წესებ
ს. ვთხოვთ დიდმოწყალე ალლაჰს, რომ ამით სარ
გებელი მიანიჭოს, გახადოს ეს საქმე მტკიცე და მ
ხოლოდ მისთვის განკუთვნილი. ნამდვილად, ი
ს არის საუკეთესო, ვისგანაც რამეს სთხოვენ და
უხვად ანიჭებს იმედის მქონეთ.

სამეცნიერო კომიტეტი

პირველი: მეჩეთ ან-ნაბავის (მოციქულის მეჩეთის) მადლიანობები

თქვა უზენაესმა ალლაჰმა:

﴿وَرَبُّكَ يَخۡلُقُ مَا يَشَآءُ وَيَخۡتَارُۗ مَا كَانَ لَهُمُ ٱلۡخِيَرَةُۚ سُبۡحَٰنَ ٱللَّهِ وَتَعَٰلَىٰ عَمَّا يُشۡرِكُونَ ٦٨﴾

"და შენი უფალი ქმნის, რასაც ინებებს და ირჩ
ევს. მათ არჩევანი არ გააჩნიათ. დიდება ალლაჰს
და ამაღლებულია იგი იმაზე, რასაც მას თანაზია
რად უდგენენ". [ალ-ყასას: 68], ალლაჰმა ეს ადგი
ლი აირჩია თავისი მოციქულის (ალლაჰის ლოც
ვა და მშვიდობა მას) მეჩეთად და გამოარჩია იგი

მრავალი მადლით, მათ შორისაა:

ის იმ სამი მეჩეთიდან ერთ-ერთია, სადაც ხალხი მიემგზავრება:

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

«لَا تُشَدُّ الرِّحَالُ إِلَّا إِلَى ثَلَاثَةِ مَسَاجِدَ: مَسْجِدِي هَذَا، وَمَسْجِدِ الحَرَامِ، وَمَسْجِدِ الأَقْصَى».

«არ იმოგზაუროთ გარდა სამი მეჩეთის მოსანახულებლად: ამ მეჩეთის (შუამავლის მეჩეთის), ნაკრძალი მეჩეთის (მასჯიდი ჰარამი) და ალ-აყსას მეჩეთის»[1].

რომ ლოცვა მასში უკეთესია, ვიდრე ათასი ლოცვა სხვა მეჩეთებში, გარდა აკრძალული მეჩეთისა [მექქაში]:

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

[1] გადმოსცემს ალ-ბუხარი ნომრით: (1189), და მუსლიმი ნომრით: (1397), და ტექსტი მუსლიმისაა.

«صَلَاةٌ فِي مَسْجِدِي هَذَا خَيْرٌ مِنْ أَلْفِ صَلَاةٍ فِيمَا سِوَاهُ، إِلَّا المَسْجِدَ الحَرَامَ».

«ლოცვა ჩემს ამ მეჩეთში უკეთესია, ვიდრე ათ ასი ლოცვა სხვა მეჩეთებში, გარდა აკრძალული მეჩეთისა [მექაში]»[1].

ის არის მეჩეთი, რომელიც დაფუძნებულია ღ ვთისმოშიშობაზე პირველივე დღიდან:

აბუ სა'იდ ალ-ხუდრი (ალლაჰი იყოს მისით კ მაყოფილი) გადმოსცემს, რომ მან თქვა: „შევედი ალლაჰის შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშ ვიდობა მას) მისი ერთ-ერთი ცოლის სახლში და ვუთხარი: «ო, ალლაჰის შუამავალო, რომელია ი მ ორი მეჩეთიდან, რომელიც ღვთისმოსაობაზე დაფუძნდა?» მან აიღო ერთი მუჭა ხრეში, დაჰკრ ა მიწას და შემდეგ თქვა:“

«هُوَ مَسْجِدُكُمْ هَذَا» لِمَسْجِدِ المَدِينَةِ.

«თქვენი ეს მეჩეთი» (მედინის მეჩეთი)[2].

რომ ცოდნის მაძიებლის ჯილდო მასში , ალლ აჰის გზაზე მებრძოლის ჯილდოს ტოლფასია:

---

[1] გადმოსცემს ალ-ბუხარი ნომრით: (1190), და მუსლიმი ნომრით: (1395), და ტექსტი ბუხარისაა.

[2] გადმოსცა მუსლიმმა ნომრით: (1398).

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი ი ყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: გავიგონე რომ ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა:

«مَنْ جَاءَ مَسْجِدِي هَذَا، لَمْ يَأْتِهِ إِلَّا لِخَيْرٍ يَتَعَلَّمُهُ أَوْ يُعَلِّمُهُ، فَهُوَ بِمَنْزِلَةِ المُجَاهِدِ فِي سَبِيلِ اللهِ، وَمَنْ جَاءَ لِغَيْرِ ذَلِكَ، فَهُوَ بِمَنْزِلَةِ الرَّجُلِ يَنْظُرُ إِلَى مَتَاعِ غَيْرِهِ».

«ვინც ჩემს ამ მეჩეთში მოვა, მხოლოდ იმისთვ ის, რომ სიკეთე ისწავლოს ან ასწავლოს, ის ალლ აჰის გზაზე მებრძოლს უტოლდება, ხოლო ვინც სხვა მიზნით მოვა, ის იმ კაცის მსგავსია, რომელ იც სხვის ქონებას უყურებს»[1].

რომ მასში არის ძვირფასი ბაღი(ალ-რაუდა ალ - შარიიფა):

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი ი ყოს მისით კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლ აჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

«مَا بَيْنَ بَيْتِي وَمِنْبَرِي رَوْضَةٌ مِنْ رِيَاضِ الجَنَّةِ، وَمِنْبَرِي عَلَى حَوْضِي».

«ჩემს სახლსა და ჩემს მინბარს შორის არის ბა ღი, სამოთხის ბაღებიდან, და ჩემი მინბარი ჩემს

[1] გადმოსცემს იბნ მააჯა ნომრით: (227), სანდო გადმოცემათა ჯაჭვით.

აუზზეა»[1].

მეორე: მოციქულის მეჩეთის მონახულების სასურველობა

ამ და სხვა ღირსებების გამო სასურველია შუა მავლის მეჩეთის მონახულება, იქ ლოცვისა და ღ ვთისმსახურებისათვის.

- ჰაჯობის შემსრულებლისა და სხვებისთვის ს უნნაა შუამავლის მეჩეთის მონახულება ჰაჯობა მდე ან მის შემდეგ, და ეს მონახულება არ არის ჰ აჯობის პირობა, არც მისი რუქნი და არც მისი ვა ლდებულება და მასთან არავითარ კავშირში არ ა რის.

შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მა ს) მეჩეთის მონახულების პირობას არ წარმოადგ ენს ლოცვების კონკრეტული რაოდენობა, ან მედ ინაში გარკვეული დროით დარჩენა. მისი მონახ ულება შესრულებულად ითვლება ერთი ლოცვი თაც, იქნება ეს სავალდებულო თუ ნებაყოფლობ

[1] შეთანხმებული ჰადისი: გადმოსცემს ალ-ბუხარი ნომრით: (1195), და მუსლიმი ნომრით: (1390).

ითი. თუმცა, რაც უფრო იზრდება იქ შესრულებ ული ლოცვების რაოდენობა, მით მეტია მადლი.

შუამავლის მეჩეთის მომლოცველისთვის სას ურველია, რომ მასში შეასრულოს ყველა სავალდ ებულო ლოცვა და ასევე ნებაყოფილობითი ლო ცვები; რადგან ლოცვა მასში უკეთესია, ვიდრე ა თასი ლოცვა სხვა ნებისმიერ მეჩეთში, გარდა ჰა რამის მეჩეთისა.

მესამე: შუამავლის მეჩეთის მონახულების წესები

როცა მუსლიმი შუამავლის მეჩეთში მივა, სას ურველია, რომ დაიცვას შარიათისმიერი წესები, რომელიც ზოგადად მეჩეთებს, ხოლო კონკრეტ ულად კი შუამავლის მეჩეთს ეხება, ესენია:

მეჩეთში მისვლა სიმშვიდით, სერიოზულობი თ, აბდესით, კარგი გარეგნობითა და სასიამოვნო სურნელით. აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი კმაყოფ ილი იყოს მისით) გადმოცემულია, რომ ალლაჰი ს შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მა ს) თქვა:

«إِذَا ثُوِّبَ لِلصَّلَاةِ فَلَا تَأْتُوهَا وَأَنْتُمْ تَسْعَوْنَ، وَأْتُوهَا وَعَلَيْكُمُ السَّكِينَةُ، فَمَا أَدْرَكْتُمْ فَصَلُّوا، وَمَا فَاتَكُمْ فَأَتِمُّوا، فَإِنَّ أَحَدَكُمْ إِذَا كَانَ يَعْمِدُ إِلَى الصَّلَاةِ فَهُوَ فِي صَلَاةٍ».

«როცა დადგება ლოცვა, არ წახვიდეთ სირბილით , არამედ მიბრძანდით მშვიდად. რასაც მია სწრებთ ილოცეთ, და რაც გამოგრჩათ დაასრულეთ, რამეთუ, როცა რომელიმე თქვენგანი ლოცვაზე მიდის, ის უკვე ლოცვაშია»[1]‹ და გადმოსცემს აბუ სა'იდ ალ-ხუდრი(ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

«الغُسْلُ يَوْمَ الجُمُعَةِ وَاجِبٌ عَلَى كُلِّ مُحْتَلِمٍ، وَأَنْ يَسْتَنَّ، وَأَنْ يَمَسَّ طِيبًا إِنْ وَجَدَ»،

«პარასკევის დღისთვის სრული განბანვა სავალდებულოა ყოველი სრულწლოვანისთვის, ასევე გამოიხეხოს კბილები (მისვაქით) და დაიტანოს სურნელოვანი ნივთიერება, თუ იპოვის»[2], ქალი, როდესაც მეჩეთში მიდის, ვალდებულია, რომ დაფარული იყოს ჰიჯაბით და არ აქვს ნება გამოიყენოს სუნამო; შუამავლის (ალლაჰის ლოცვა

[1] გადმოსცემს ალ-ბუხარი ნომრით: (636), და მუსლიმი ნომრით: (602).

[2] შეთანხმებული ჰადისი: გადმოსცემს ალ-ბუხარი ნომრით: (846), და მუსლიმი ნომრით: (858), ხოლო მუჰთალიმი ბალიღია(ანუ ბიოლოგიურად მომწიფებული).

და მშვიდობა მას) სიტყვებიდან:

«إِذَا شَهِدَتْ إِحْدَاكُنَّ المَسْجِدَ فَلَا تَمَسَّ طِيبًا».

«თუ რომელიმე თქვენგანი მეჩეთს დაესწრება ა,(მეჩეთში შესარულებს ლოცვას) არ მიიკაროს ს უნამო»[1].

მარჯვენა ფეხით შესვლა შუამავლის მეჩეთში და მეჩეთში შესვლის ვედრების წარმოთქმა. სას ურველია, რომ მომლოცველმა შუამავლის მეჩეთ ში შესვლისას, ისევე როგორც სხვა მეჩეთებში, მა რჯვენა ფეხით შევიდეს და წარმოთქვას შემდეგ ი ვედრება:

«بِسْمِ اللهِ، وَالسَّلَامُ عَلَى رَسُولِ اللهِ، اللَّهُمَّ اغْفِرْ لِي ذُنُوبِي وَافْتَحْ لِي أَبْوَابَ رَحْمَتِكَ».

«ბისმილლაჰ, ვა სსალაამუ 'ალაა რასუულილლ ლაჰ, ალლაჰუმმა ღფირ ლიი ზუნუუბიი ვაფთაჰ ლიი აბვააბა რაჰმათიქ»[2]. (ალლაჰის სახელით. მ შვიდობა ალლაჰის შუამავალს. ო ალლაჰ, მომიტ ევე ჩემი ცოდვები და გამიღე შენი წყალობის კარ ები.) ასევე ამბობს:

[1] გადმოსცა მუსლიმმა ნომრით: (443).

[2] გადმოსცემს იბნ მააჯა ნომრით: (771), სანდო სანადით.

«أَعُوذُ بِاللهِ العَظِيمِ، وَبِوَجْهِهِ الكَرِيمِ، وَسُلْطَانِهِ القَدِيمِ، مِنَ الشَّيْطَانِ الرَّجِيمِ».

«ა'უუზუ ბილლაჰილ 'აზიიმ, ვა ბივაჯჰიჰილ ქარიიმ, ვა სულტაანიჰილ ყადიიმ, მინა შშაიტაან ი რრაჯიიმ».[1] დიად ალლაჰს, მის კეთილშობილ სახესა და მარადიულ ძალაუფლებას შევეფარები ქვით ჩაქოლილი ეშმაკისგან.

მეჩეთის მისალმების ლოცვის შესრულება: მოციქულის მეჩეთში სალოცავად შესულისთვის სუნაა, რომ დაჯდომამდე ორი რაქათის, მეჩეთის მისალმების ლოცვა აღავლინოს. აბუ ყათადა ალ-ჰაარის იბნ რიბ'ი ალ-ანსარისგან (ალლაჰი კმაყოფილი იყოს მისით) გადმოცემულია, რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

«إِذَا دَخَلَ أَحَدُكُمُ المَسْجِدَ، فَلَا يَجْلِسْ حَتَّى يُصَلِّيَ رَكْعَتَيْنِ».

«თუ რომელიმე თქვენგანი შევა მეჩეთში არ დაჯდეს მანამ, სანამ არ ილოცებს ორ მუხლს».[2]

პირველ რიგებში ლოცვის მონდომება; რადგა

[1] გადმოსცა აბუ დაუდმა ნომრით (466), სანდო ისნადით.

[2] შეთანხმებული ჰადისი: გადმოსცემს ალ-ბუხარი ნომრით: (1171), და მუსლიმი ნომრით: (714).

ნ მათში დიდი მადლია და ეს მხოლოდ მასზე ად რე მისვლით მიიღწევა, აბუ ჰურაირას (ალლაჰი კმაყოფილი იყოს მისგან) ჰადისის თანახმად, რო მ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშ ვიდობა მას) თქვა:

«لَوْ يَعْلَمُ النَّاسُ مَا فِي النِّدَاءِ وَالصَّفِّ الأَوَّلِ، ثُمَّ لَمْ يَجِدُوا إِلَّا أَنْ يَسْتَهِمُوا عَلَيْهِ لَاسْتَهَمُوا».

«თუ ხალხს ეცოდინებოდა, რამდენი ჯილდო არის აზანში და პირველ რიგში დგომაში, და არ იპოვიდნენ სხვა საშუალებას, გარდა იმისა, რომ წილი ეყარათ, ისინი აუცილებლად წილს იყრიდ ნენ»[1], შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდო ბა მას) უთხრა თავის საჰაბებს (ალლაჰი იყოს კმ აყოფილი მათგან):

«تَقَدَّمُوا فَأْتَمُّوا بِي، وَلْيَأْتَمَّ بِكُمْ مَنْ بَعْدَكُمْ، لَا يَزَالُ قَوْمٌ يَتَأَخَّرُونَ حَتَّى يُؤَخِّرَهُمُ اللهُ».

«წინ წამოიწიეთ და უკან დამიდექით მე, და ვ ინც თქვენს შემდეგ მოვა, ის თქვენს უკან დადგე ს. სანამ ადამიანები უკან იხევენ, ალლაჰი მანამ

[1] შეთანხმებული ჰადისი: გადმოსცემს ალ-ბუხარი ნომრით: (615), და მუსლიმი ნომრით: (437).

დააყოვნებს უკან მათ»[1].

ხოლო ქალებისთვის საუკეთესოა ლოცვა უკა ნასკნელ რიგებში და მამაკაცებისგან შორს ყოფნ ა, აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყო ფილი) გადმოცემული ჰადისის მიხედვით, რომ ელმაც თქვა: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მ შვიდობა მას) თქვა:

«خَيْرُ صُفُوفِ الرِّجَالِ أَوَّلُهَا، وَشَرُّهَا آخِرُهَا، وَخَيْرُ صُفُوفِ النِّسَاءِ آخِرُهَا، وَشَرُّهَا أَوَّلُهَا».

«კაცების რიგებიდან საუკეთესოა პირველი, ხ ოლო უარესი - ბოლო, ქალების რიგებიდან საუკ ეთესოა ბოლო, ხოლო უარესი - პირველი»[2], მაგრ ამ თუ ისინი ლოცულობენ განცალკევებით, ან მა თსა და მამაკაცებს შორის არის გამყოფი ბარიერ ი, როგორც ეს ხდება მოციქულის მეჩეთში, მაშინ მათთვის საუკეთესო რიგებია პირველი რიგები, რადგან ეს მიზეზი აღარ არსებობს.

იმამის უკან ლოცვა და სიფრთხილის გამოჩენ ა, რომ მას არ გაუსწრონ; აბუ ჰურაირას (ალლაჰი

[1] გადმოსცა მუსლიმმა ნომრით: (438).
[2] გადმოსცა მუსლიმმა ნომრით: (440).

იყოს მისგან კმაყოფილი) ჰადისის მიხედვით, რ ომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

«إِنَّمَا جُعِلَ الإِمَامُ لِيُؤْتَمَّ بِهِ».

«იმამი იმისთვისაა, რომ მას მიჰყვნენ»[1].

დაუშვებელია მლოცველი იმამზე წინ დადგე ს, გარდა იმ აუცილებელი შემთხვევისა, როდესა ც მეჩეთი სავსეა მლოცველებით და ის სალოცავ ადგილს იმამის წინ გარდა ვერსად იპოვის.

რიგებს შორის სიცარიელის შევსება და მათი გ ასწორება, მაგრამ სიფრთხილით, რათა არ მოხდ ეს ხალხის შევიწროება და შეწუხება, კისრებზე გ ადაბიჯება და მლოცველების წინ გავლა; რადგა ნ ეს ქმედება მლოცველს ცოდვაში აგდებს.

ლოცვა ძვირფას რავდაში მისთვის, ვინც ამას შ ეძლებს; აბუ ჰურაირას (ალლაჰი იყოს მისით კმ აყოფილი) ჰადისის მიხედვით, შუამავალმა (ალ ლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

[1] გადმოსცემს ალ-ბუხარი ნომრით: (722), და მუსლიმი ნომრით: (417).

«مَا بَيْنَ بَيْتِي وَمِنْبَرِي رَوْضَةٌ مِنْ رِيَاضِ الجَنَّةِ، وَمِنْبَرِي عَلَى حَوْضِي».

«ჩემს სახლსა და ჩემს მინბარს შორის არის ბა ღი, სამოთხის ბაღებიდან, და ჩემი მინბარი ჩემს აუზზეა»[1].

რავდაში ლოცვის სიკეთესთან დაკავშირებით კონკრეტული მადლი არ არის გადმოცემული, მ აგრამ დადასტურებულია, რომ ის სამოთხის ბაღ ებიდან ერთ-ერთი ბაღია -როგორც ამას ადასტუ რებს აბუ ჰურაირას (ალლაჰი კმაყოფილი იყოს მ ისით) ზემოთ ნახსენები ჰადისი- და ღვთისმსახ ურება აღმატებული ხდება თავისი დროისა და ა დგილის მადლით.

მომლოცველმა უნდა შეარჩიოს შესაფერისი დ რო არ'რავდაში სალოცავად და ეცადოს იმ დრო ს მისვლას, როცა ნაკლები ხალხმრავლობაა, რათ ა არ შეავიწროოს თავისი მუსლიმი ძმები, არ გად ააბიჯოს მლოცველებს და არ გაიაროს მათ წინ, რ ოცა იქ ლოცვა სურს; ვინაიდან არ'რავდაში ლოც

[1] შეთანხმებული ჰადისი: გადმოსცემს ალ-ბუხარი ნომრით: (1195), და მუსლიმი ნომრით: (1390).

ვა ნებაყოფილობითია და დაუშვებელია მისკენ აკრძალული ქმედებით სწრაფვა. ასევე, მომლოც ველი უნდა დაემორჩილოს არ'რავდაში შესვლი ს სპეციალურ წესებსა და ორგანიზაციულ რეგუ ლაციებს, შეარჩიოს შესაფერისი დრო და ითანამ შრომლოს მომლოცველთა შესვლის ორგანიზატ ორებთან.

დროის გამოყენება მრავალი კეთილი საქმის ა ღსრულებით, რომლებიც მას თავის გამჩენთან, დიდება მას, აახლოებს, როგორიცაა: ლოცვა, ყუ რანის კითხვა, ალლაჰის მოხსენიება, ვედრება, მ ოხსენიების შეკრებებზე, სასულიერო გაკვეთილ ებსა და ყურანის შემსწავლელ წრეებზე დასწრებ ა, და სხვა.

ალლაჰის წიგნის პატივისცემა და მისი დაცვა ფურცლების უდიერად მოპყრობისგან, მასზე წა წერისგან, ან მისი ღირსების შელახვა და შეურაც ხყოფა მის გვერდით ფეხსაცმლის დადებით, მიწ აზე მოთავსებით და სხვა ამგვარი ქმედებებით, რამეთუ უზენაესი ბრძანებს:

﴿ذَٰلِكَ وَمَن يُعَظِّمْ شَعَٰٓئِرَ ٱللَّهِ فَإِنَّهَا مِن تَقْوَى ٱلْقُلُوبِ ٣٢﴾

"ასეა ეს! და ვინც განადიდებს ალლაჰის რიტ უალებს, უეჭველად, ეს გულთა ღვთისმოსაობი დანაა". [ალ-ჰაჯჯ: 32]

მზერის მორიდება იმისგან, რაც დიდებულმა და მაღალმა ალლაჰმა აკრძალა: აუცილებელია მ ოციქულის მეჩეთის სტუმარმა თავისი მზერა მო არიდოს იმას, რისკენაც ყურება ნებადართული ა რ არის. მან უნდა იცოდეს, თუ რაოდენ მძიმეა ც ოდვის ჩადენა ამ წმინდა ადგილებში და რა სასჯ ელი მოჰყვება მას. ვინაიდან ცოდვები, დროისა და ადგილის სიდიადის მიხედვით, უფრო მძიმ დება, ისევე როგორც მორჩილების აქტები. მუსლ იმმა ქალმა უნდა დაიცვას შარიათული ჰიჯაბი და არ გამოაჩინოს თავისი მორთულობა, რათა ა რ აცდუნოს კაცები, რადგან ამის ცოდვა დიდია.

გაფრთხილება მობილური ტელეფონით ფოტ ოების გადაღებით ან მასში სურათებისა და ვიდ ეოების ყურებით დაკავებისგან, რაც განსაკუთრ ებით სახიფათოა, თუ ეს სურათები და ვიდეოებ

ი აკრძალულია.

შუამავლის მეჩეთის გათავისუფლება ყოველი იმისგან, რაც მას არ შეეფერება, როგორიცაა კამათი, ხმის ამაღლება, დაკარგული ნივთის გამოცხადება, ვაჭრობა და სხვა მსგავსი საკითხები, რომლებიც დაუშვებელია მასში და სხვა მეჩეთებში; აბუ ჰურაირას (ალლაჰი კმაყოფილი იყოს მისით) ჰადისის თანახმად, რომელიც შუამავლისგან (ალლაჰმა დალოცოს ის და მიესალმოს) გადმოგვცემს, რომ მან თქვა:

«إِذَا رَأَيْتُمْ مَنْ يَبِيعُ أَوْ يَبْتَاعُ فِي المَسْجِدِ، فَقُولُوا: لَا أَرْبَحَ اللهُ تِجَارَتَكَ، وَإِذَا رَأَيْتُمْ مَنْ يَنْشُدُ فِيهِ ضَالَّةً، فَقُولُوا: لَا رَدَّ الله عَلَيْكَ».

«თუ რომელიმე თქვენგანი დაინახავს, რომ ვინმე ყიდის ან ყიდულობს მეჩეთში დაე, თქვას: ალლაჰმა არ მოგცეს მაგისგან სარგებელი, და თუ რომელიმე თქვენგანი დაინახავს, რომ ვინმე მეჩეთში დაკარგულს ეძებს, დაე თქვას: ალლაჰმა არ აპოვნინოს მას ის»[1].

პირად სისუფთავეზე ზრუნვა და ისეთი უსია

[1] გადმოსცა ათ-თირმიზიმ ნომრით: (1321) და იბნ ხუზეიმამ ნომრით: (1305), სწორი სენედით.

მოვნო სუნებისგან თავის არიდება, როგორიცაა ნ იორი, ხახვი, თამბაქოს კვამლი, ოფლი და სხვა მ სგავსი, რამაც შეიძლება შეაწუხოს მისი მლოცვე ლი ძმები; ჯააბირ იბნ აბდულლაჰი (ალლაჰი კმ აყოფილი იყოს მისით) გადმოგვცემს, რომ ალლ აჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობ ა მას) თქვა:

«مَنْ أَكَلَ ثُومًا أَوْ بَصَلًا، فَلْيَعْتَزِلْنَا – أَوْ قَالَ: فَلْيَعْتَزِلْ مَسْجِدَنَا – وَلْيَقْعُدْ فِي بَيْتِهِ».

«თუ ვინმემ შეჭამა ნიორი ან ხახვი, დაე, განე რიდოს ჩვენ (ან ჩვენს მეჩეთებს) და დარჩეს თავ ის სახლში»[1].

ალ-მასჯიდი ან-ნაბავის სისუფთავეზე ზრუნვ ა და მეჩეთისა და მისი ეზოების ნარჩენებით არ დანაგვიანება, როგორიცაა საკვების ნარჩენები დ ა საიფტარო სუფრები, განსაკუთრებით რამადან ის თვეში, ან გასასვლელებსა და ეზოებში დაფუ რთხება და სხვა ამგვარი.

ლოცვისგან თავის არიდება გასასვლელებში, კ არების შემოსასვლელებთან და ხალხმრავალ ად

[1] გადმოსცემს ალ-ბუხარი ნომრით: (7359), და მუსლიმი ნომრით: (564).

გილებში, რადგან ამას მოჰყვება ზიანი, გზების გ ადაკეტვა და მუსლიმების შეწუხება.

მამაკაცებისა და ქალების ლოცვა სრულდება თითოეული მათგანისთვის განკუთვნილ ადგი ლებში, შუამავლის მეჩეთის შიგნით ან მის ეზოე ბში. მამაკაცი არ ლოცულობს ქალის გვერდით, და არც ქალი ლოცულობს მამაკაცის გვერდით. ს იფრთხილეა საჭირო, რომ რამდენადაც შესაძლე ბელია, არ გაუსწრონ იმამს.

მეჩეთიდან გამოდი მარცხენა ფეხით და თქვ ი:

«اللَّهُمَّ إِنِّي أَسْأَلُكَ مِنْ فَضْلِكَ».

«ღმერთო ჩემო! შენ გთხოვ შენი სიკეთიდან»[1] (ალლაჰუმმა ინნიი ას'ალუქა მინ ფადლიქ). ან დ ალოცავს შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვი დობა მას) და იტყვის:

«رَبِّ اغْفِرْ لِي ذُنُوبِي، وَافْتَحْ لِي أَبْوَابَ فَضْلِكَ».

«ღმერთო, მომიტევე ჩემი ცოდვები და გამიღ

[1] გადმოსცა მუსლიმმა ნომრით: (713).

ე შენი მადლის კარიბჭენი»[1].

მეოთხე: შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საფლავის და მისი ორი მეგობრის (ალლაჰი კმაყოფილი იყოს მათი ორივეთი) საფლავების მონახულების დადგენილებები და ეთიკა.

შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მა ს) და მისი ორი მეგობრის: აბუ ბაქრის და უმარი ს (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) საფლავები ს მონახულება სასურველია მედინას მცხოვრებ თათვის და მისი სტუმრებისთვის; საფლავების მ ონახულების შარიათით ნებადართულობის დამ ადასტურებელი ზოგადი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, მათ შორისაა შუამავლის (ალლაჰ ის ლოცვა და მშვიდობა მას) ნათქვამი:

«نَهَيْتُكُمْ عَنْ زِيَارَةِ القُبُورِ، فَزُورُوهَا».

«ადრე მე თქვენ აგიკრძალეთ სასაფლაოების მ ონახულება, ხოლო ახლა მოინახულეთ სასაფლა

[1] გადმოსცა ათ-თირმიზიმ ნომრით: (314), საღი სანადით.

ოები»[1].

შუამავალზე ﷺ გარდაცვალების შემდეგ სალამ ის თქმის მადლზე მიუთითებს შუამავლის (ალ ლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სიტყვები:

«مَا مِنْ أَحَدٍ يُسَلِّمُ عَلَيَّ، إِلَّا رَدَّ اللهُ عَزَّ وَجَلَّ إِلَيَّ رُوحِي حَتَّى أَرُدَّ عَلَيْهِ السَّلَامَ».

«ვინც არ უნდა მომესალმოს (ჩემი გარდაცვა ლების შემდეგ), ყოვლისშემძლე და დიდებული ალლაჰი აუცილებლად დააბრუნებს ჩემს სულს, რათა მე მისალმებაზე პასუხი გავცე მას»[2].

ქალებისთვის დაუშვებელია მისი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საფლავის და არც სხვა მუსლიმების საფლავების მონახულება, რადგან საფლავების მონახულება დადგენილია კაცების თვის. ხოლო ქალებისთვის აკრძალულია საფლა ვების მონახულება. გადმოცემულია იბნ აბბასის გან (ალლაჰი კმაყოფილი იყოს ორივეთი), რომ მ ან თქვა:

«لَعَنَ رَسُولُ اللهِ ﷺ زَائِرَاتِ القُبُورِ، وَالمُتَّخِذِينَ عَلَيْهَا المَسَاجِدَ وَالسُّرُجَ».

[1] გადმოსცა მუსლიმმა ნომრით: (977).

[2] ჰადისი გადმოცემულია აჰმადის მიერ, მის მუსნადში, ნომრით: (10815), კარგი ისნადით.

«ალლაჰის შუამავალმა ﷺ დაწყევლა საფლავე ბის მომნახულებელი ქალები, მათზე სამლოცვე ლოების დამდგენნი და კელაპტრების დამნთობ ნი»[1], გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰ ი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა:

«أَنَّ رَسُولَ اللهِ ﷺ لَعَنَ زَوَّارَاتِ القُبُورِ».

«ალლაჰის შუამავალმა დაწყევლა საფლავის ხშირად მომნახულებელი ქალები»[2].

დაუშვებელია მგზავრობა შუამავლის (ალლაჰ ის ლოცვა და მშვიდობა მას) საფლავის მოსანახ ულებლად ისე, რომ მგზავრობის ერთადერთი მ იზანი მხოლოდ საფლავის მონახულება იყოს. ა რამედ, მგზავრობის მიზანი უნდა იყოს მეჩეთის მონახულება და იქ ლოცვა. ხოლო, როდესაც ის მ ედინაში ჩავა, მისთვის შარიათით დაშვებული ხ დება საფლავის მონახულება, ისევე, როგორც ეს დაშვებულია ქალაქ მედინის მაცხოვრებლების თვის; რადგან შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და

[1] გადმოსცა აბუ დაუდმა ნომრით: (3236), და ათ-თირმიზიმ ნომრით: (320), და ან'ნასაიმ ნომრით: (2043).

[2] გადმოსცა ათ-თირმიზიმ ნომრით: (1056), და იბნ მააჯამ ნომრით: (1576), კარგი ისნადით.

მშვიდობა მას) თქვა:

«لَا تُشَدُّ الرِّحَالُ إِلَّا إِلَى ثَلَاثَةِ مَسَاجِدَ: مَسْجِدِي هَذَا، وَمَسْجِدِ الحَرَامِ، وَمَسْجِدِ الأَقْصَى».

«არ იმოგზაუროთ გარდა სამი მეჩეთის მოსან ახულებლად: ამ მეჩეთის (შუამავლის მეჩეთის), ნაკრძალი მეჩეთის (მასჯიდი ჰარამი) და ალ-აყს ას მეჩეთის»[1].

შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მა ს) საფლავისა და მისი ორი მეგობრის (ალლაჰი ი ყოს მათით კმაყოფილი) სასაფლაოების მონახუ ლების შარიათით ნებადართული ადაბები.

მომლოცველი დგება წინასწარმეტყველის (ა ლლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საფლავის პი რისპირ, შემდეგ მოწიწებითა და ხმადაბლა ესალ მება მას და ამბობს: «მშვიდობა შენ, ო ალლაჰის მ ოციქულო, ალლაჰის წყალობა და კურთხევა». ხ ოლო თუ დაამატებს და იტყვის: «ვამოწმებ, რომ შენ გადმოეცი გზავნილი, შეასრულე ამანათი, დ

[1] გადმოსცემს ალ-ბუხარი ნომრით: (1189), და მუსლიმი ნომრით: (1397), და ტექსტი მას ეკუთვნის.

აარიგე უმმა და იბრძოლე ალლაჰის გზაზე ჭეშმ არიტი ჯიჰადით», ამაში პრობლემა არ არის, რა დგან ეს ყველაფერი ჭეშმარიტებაა.

შემდეგ მარჯვნივ გადადგამს ნაბიჯს, რათა აბ უ ბაქრ ა'სიდდიყის (ალლაჰი იყოს მისით კმაყო ფილი) საფლავის პირისპირ აღმოჩნდეს და ამბო ბს: (მშვიდობა შენზე, აბუ ბაქრ ა'სიდდიყ, მშვიდ ობა შენზე, ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლო ცვა და მშვიდობა მას) ხალიფავ, ალლაჰი იყოს შ ენით კმაყოფილი და სათნოგყოს, და დაგაჯილდ ოვოს მუჰამმადის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდო ბა მას) უმმათის სახელით საუკეთესო ჯილდოთ ი).

შემდეგ მარჯვნივ გადადგამს ნაბიჯს, რათა დ ადგეს უმარ იბნ ალ-ხატტაბის (ალლაჰი იყოს მი სით კმაყოფილი) საფლავის პირისპირ, და ამბობ ს: (მშვიდობა შენზე, უმარ ალ-ფარუყ, ალლაჰი ი ყოს შენით კმაყოფილი და დაგაჯილდოვოს მუჰ ამადის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უმმ ათის სახელით საუკეთესო ჯილდოთი).

იბნ უმარი (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), როცა მგზავრობიდან ჩამოვიდოდა, შუამავლი ს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საფლავთ ან მივიდოდა და იტყოდა: «მშვიდობა შენ, ო, ალ ლაჰის შუამავალო, მშვიდობა შენ, ო, აბუ ბაქრ, დ ა მშვიდობა შენ, ო, მამაჩემო, შემდეგ მიდიოდა»[1].

არ ეხებიან საფლავის კედლებს, არც ღობეს და არც ემთხვევიან მათ:

იმამ მაალიქმა (ალლაჰმა შეიწყალოს ის) თქვა : «როდესაც შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვ იდობა მას) მიესალმება, დგება საფლავისკენ პირ ით; და არა ყიბლასკენ, უახლოვდება და ესალმე ბა და საფლავს ხელით არ ეხება»[2].

იმამები ერთსულოვნად შეთანხმდნენ, რომ შ უამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ს აფლავს ხელით არ უნდა შეეხონ და არც აკოცონ.

სამარხთან დიდხანს არ ჩერდება, არამედ სალ ამს აძლევს და შემდეგ მიდის.

---

[1] გადმოსცა ალ-ბაიჰაყიმ სუნან ალ-ქუბრაში ნომრით: (10271), სანდო სანადით.

[2] აშ-შიფაა ყადი 'იადისა (2/199).

იმამ მაალიქმა (ალლაჰმა შეიწყალოს ის) თქვა «არ მიმაჩნია, რომ შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საფლავთან უნდა გაჩერდეს დ ა ივედროს, არამედ მიესალმოს და წავიდეს»[1].

ასევე თქვა ნააფი'მა (ალლაჰმა შეიწყალოს ის): «იბნ უმარი (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) საფლავს მიესალმებოდა.. ასჯერ და მეტჯერ მინ ახავს, როგორ მოდიოდა საფლავთან და ამბობდ ა: მშვიდობა შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშ ვიდობა მას). მშვიდობა აბუ ბაქრს. მშვიდობა მამ აჩემს. შემდეგ კი ბრუნდებოდა».[2]

რაც შეეხება იმას, რასაც ზოგიერთი მლოცველ ი აკეთებს — რაც მოიცავს ხმამაღლა ლაპარაკს მ ოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საფლავთან და დიდხანს დგომას იქ — ეს ეწინაა ღმდეგება შარიათის დადგენილ ნორმებს.

დაუშვებელია შუამავლისადმი (ალლაჰის ლ ოცვა და მშვიდობა მას) ან სხვა ქმნილებისადმი

---

[1] აშ-შიფა ყადი 'იადისა (2/199).

[2] გადმოსცა ალ-აჯურიმ წიგნში „აშ-შარი'ა“ (5/2374), ნომრით: (1853).

ვედრება სარგებლის მოტანის, ზიანის არიდების სურვილების დაკმაყოფილების, სირთულეების მოხსნის, ავადმყოფის განკურნების, შუამდგომლობის, სასჯელისგან ხსნის ან მსგავსი თხოვნებით; რადგან ალლაჰის გარდა სხვისადმი ვედრება იმაზე, რაც მხოლოდ ალლაჰს ძალუძს, აკრძალულია და დიდი შირქია, როგორც თქვა ყოვლისშემძლე ალლაჰმა:

﴿وَقَالَ رَبُّكُمُ ٱدۡعُونِيٓ أَسۡتَجِبۡ لَكُمۡۚ إِنَّ ٱلَّذِينَ يَسۡتَكۡبِرُونَ عَنۡ عِبَادَتِي سَيَدۡخُلُونَ جَهَنَّمَ دَاخِرِينَ ٦٠﴾

"და თქვა თქვენმა უფალმა: „მომიხმეთ მე, გიპასუხებთ თქვენ. უეჭველად, ისინი, რომელნიც ამპარტავნობენ ჩემი მსახურების მიმართ, დამცირებულნი შევლენ ჯოჯოხეთში". (ღაფირ: 60) და თქვა დიდებულმა:

﴿إِنَّ ٱلَّذِينَ تَدۡعُونَ مِن دُونِ ٱللَّهِ عِبَادٌ أَمۡثَالُكُمۡۖ فَٱدۡعُوهُمۡ فَلۡيَسۡتَجِيبُواْ لَكُمۡ إِن كُنتُمۡ صَٰدِقِينَ ١٩٤﴾

"უეჭველად, თქვენნაირი მონა-მსახურები/ქმნილებები არიან, ისინი რომლებსაც ალლაჰის ნაცვლად ევედრებით, მაშ მოუხმეთ მათ დაე გიპასუ

უხოწ თუკი თქვენ ხართ ნამდვილად გულწრფე
ლნი!" [ალ-ა'რაფ: 194]. თქვა დიდებულმა და ყო
ვლადმაღალმა:

﴿وَأَنَّ ٱلۡمَسَٰجِدَ لِلَّهِ فَلَا تَدۡعُواْ مَعَ ٱللَّهِ أَحَدٗا ١٨﴾

"და რომ მეჩეთები ალლაჰისაა, ამიტომ ნუ შე
ევედრებით ალლაჰთან ერთად ნურავის".

(ალ-ჯინნ: 18).

საფლავთან ალლაჰს არ უნდა შეევედროს, ხო
ლო თუ ვედრება სურს, უნდა ჩამოშორდეს საფლ
ავს, მიიბრუნოს ყიბლასკენ და ისე შეევედროს, დ
ა ვედრებისას არ უნდა მიიბრუნოს საფლავისკ
ენ.

იმამ მაალიქმა (ალლაჰმა შეიწყალოს ის) თქვა
არ მიმაჩნია სწორად მოციქულის (ალლაჰის ლო
ცვა და მშვიდობა მას) საფლავთან გაჩერება და ვ
ედრება.

დაუშვებელია საფლავის ხშირი მონახულება
მეჩეთში შესვლისას ან იქიდან გამოსვლისას, რო
გორც მედინის მაცხოვრებლებისთვის, ასევე გარ
ედან ჩამოსული მომნახულებლებისთვის, რადგ

ან არსებობს საშიშროება, რომ ეს საფლავის სადღ ესასწაულო ადგილად ქცევად ჩაითვალოს.

ალლაჰის შუამავალმა ﷺ აკრძალა ესე:

«لَا تَتَّخِذُوا قَبْرِي عِيدًا، وَلَا تَجْعَلُوا بُيُوتَكُمْ قُبُورًا، وَحَيْثُمَا كُنْتُمْ فَصَلُّوا عَلَيَّ، فَإِنَّ صَلَاتَكُمْ تَبْلُغُنِي».

«არ აქციოთ ჩემი საფლავი სადღესასწაულო ა დგილად და არც თქვენი სახლები საფლავებად, დამლოცეთ, რადგან თქვენი დალოცვა ჩემამდე ა ღწევს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ»[1].

ფრაზის „არ აქციოთ ჩემი საფლავი სადღესასწ აულო ადგილად“ მნიშვნელობა გულისხმობს მა სთან განმეორებით მისვლას განსაზღვრულ დრ ოსა და ვითარებაში, როგორიცაა მისი მონახულ ების გამოყოფა ყოველდღე, ყოველკვირეულად, ყოველთვიურად ან სხვა რაიმე კონკრეტული მდ გომარეობისას. ასევე ნათქვამია: ანუ, არ აქციოთ ის სადღესასწაულო თავშეყრის ადგილად[2].

---

[1] ჰადისს გადმოსცემს აჰმადი თავის მუსნადში ნომრით: (8804), კარგი ისნადით.

[2] იხილეთ: ალ-მუფრადათ არ-აღ'იბ ალ-ასფაჰანის (გვერდი: 594), შარჰ ას-სუდურ ბითაჰრიმ რაფ' ალ-ყუბურ აშ-შავქანის (გვერდი:16).

თქვა იმამმა მაალიქმა (ალლაჰმა შეიწყალოს ი ს): ''მედინას მკვიდრისთვის, რომელიც მეჩეთში შედის და გამოდის, არ არის სავალდებულო საფ ლავთან შეჩერება, არამედ ეს უცხო პირთათვის აა''[1].

მისი სიტყვები (ალლაჰმა შეიწყალოს): «ეს მხ ოლოდ უცხოებისთვისაა» - ანუ, ზოგადი მონახ ულება და არა მისი გამეორება შესვლისა და გამ ოსვლისას.

არ უნდა დადგეს საფლავის წინ მლოცველის პ ოზიციაში და ერთი ხელი მეორეზე დაიდოს მკე რდზე ან მის ქვემოთ; რადგან ეს პოზიცია მხოლ ოდ ლოცვისთვისაა განკუთვნილი და ეს არის ქე დის მოხრის პოზიცია, რომელიც მხოლოდ უზენ აესი ალლაჰის წინაშე სრულდება.

არ შეიძლება შორი მანძილიდან საფლავისკენ მიმართვა შუამავალზე (ალლაჰის ლოცვა და მშვ იდობა მას) მისასალმებლად, როგორც ამას ზოგ

[1] იხილეთ: "ალ-შიფა" ყადი 'იიადის (ტომი 2, გვ. 204), "ალ-მადხალ" იბნ ალ-ჰააჯჯის (ტომი 1, გვ. 262).

იერთი ადამიანი აკეთებს; რადგან ამას არ აკეთე ბდნენ თანამოღვაწეები/საჰაბები (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მათით), და არც მართალი წინაპრებ ი, ოთხი იმამი და სხვები.

არ არის ნებადართული შუამავლის საფლავის მიმართულებით დგომა ვედრების, ყურანის კით ხვისა და სხვა მსგავსი თაყვანისცემის აღსრულე ბისას, ნებისმიერი მხრიდან, ეს არის რელიგიაში შემოტანილი სიახლეებიდან, და მუსლიმისთვი ს არ არის ნებადართული რელიგიაში შემოიტან ოს ის, რისი ნებაც არ მიუცემია ალლაჰს, იმამ მაა ლიქმა (ალლაჰმა შეიწყალოს ის) გაკიცხა ამგვარ ი ქმედებები და თქვა: «ამ უმმას მომავალი არ იქ ნება გამოსწორებული გარდა იმით, რამაც მის წი ნ მყოფნი გამოასწორა».[1]

შუამავლისთვის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდ ობა მას) სალმის მიცემის დროს ფოტო-ვიდეო გა დაღებითა და პირდაპირი ეთერით არ უნდა იყო ს დაკავებული.

[1] მაჯმუ' ფათაავა იბნ ბააზ (16/ 110).

ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა ჩვენს შუამავა ლ მუჰამმადს, მის ოჯახს და მეგობრებს.

❋❋❋

სარჩევი

შუამავლის მეჩეთის ღირსებები და წესები და შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და მისი ორი მეგობრის (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) საფლავების მონახულების დადგენილებები. 2

შესავალი.....2

პირველი: მეჩეთ ან-ნაბავის (მოციქულის მეჩეთის) მადლიანობები 3

მეორე: მოციქულის მეჩეთის მონახულების სასურველობა.....7

მესამე: შუამავლის მეჩეთის მონახულების წესები 8

მეოთხე: შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საფლავის და მისი ორი მეგობრის (ალლაჰი კმაყოფილი იყოს მათი ორივეთი) საფლავების მონახულების დადგენილებები და ეთიკა..... 21

❋❋❋

ka492v1.0 - 10/11/2026

حرمين

رئاسة الشؤون الدينية
بالمسجد الحرام والمسجد النبوي

رسالة الحرمين

Message of The Two Holy Mosques

Guidance content for the visitors of the Holy Mosque and the Prophet's Mosque in languages.